<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 06.06.2005, მუხ. 175) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1 . კომისიის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სარჩელის მიღება სასამართლოში არ გამოიწვევს კომისიის სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტს სხვაგვარად.“

2) 46-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 46^1 მუხლი:

„მუხლი 46^1. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალური ღონისძიებები

1.ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ამ კანონის 26-ე - 27-ე მუხლების დარღვევის გამო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად კომისია უფლებამოსილია დანიშნოს სპეციალური მმართველი. სპეციალური მმართველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიმართ ამ დარღვევისათვის უკვე გამოყენებულია ამ კანონის 45-ე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული ჯარიმა ერთხელ მაინც~~— განსაზღვრული ჯარიმები~~ და ჯარიმებმა ვერ უზრუნველყო კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო ავტორიზაციის შეჩერებამ/ლიცენზიის გაუქმებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირების, მომხმარებლების კანონიერ ინტერესებს ან ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს.

2. სპეციალური მმართველი ინიშნება კომისიის გადაწყვეტილებით.

3. სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ძალში შედის კომისიის სხდომაზე მიღებისთანავე.

4. სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ქვეყნდება სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ეგზავნება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ პირს. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ მიღებული შეტყობინებისა და სპეციალური მმართველის მოთხოვნის საფუძველზე აახლებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის შესახებ მონაცემებს, სადაც აღინიშნება სპეციალური მმართველის შესახებ.

5. სპეციალური მმართველი ინიშნება კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფამდე.

6. სპეციალური მმართველი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიმართ და აკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

7. ამ მუხლის მიზნებისათვის მიიჩნევა, რომ პირს აქვს ინტერესთა კონფლიქტი, თუ ის არის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომელი, წილის/აქციის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი, ასევე ამ პუნქტში აღნიშნული პირებთან

ურთიერთადმოკიდებული პირი. ამ პუნქტის მიზნებისთვის პირი ურთიერთდამოკიდებულად ითვლება, თუ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული ურთიერთობა.

8. სპეციალური მმართველი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი სპეციალობით: ფინანსები, ეკონომიკა, ბიზნეს ადმინისტრირება, იურიდიული ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც საჭიროა მისთვის დაკისრებული უფლებამოსილებების შესასრულებლად.

9. სპეციალური მმართველის შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს კომისია, მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებით.

10. სპეციალური მმართველის შრომის ანაზღაურების, ასევე მის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურდება ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის ბიუჯეტიდან.

11. კომისია აღსასრულებელი გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე განსაზღვრავს სპეციალური მმართველის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, რომელთა ფარგლებშიც სპეციალურ მმართველს შეუძლია განახორციელოს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის კონტროლი და მასზე შეიძლება გადავიდეს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის ყველა ორგანოს (მათ შორის, დირექტორი/დირექტორთა საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა/აქციონერთა კრება) ის უფლებამოსილება რომელიც აუცილებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნის შესასრულებლად, გარდა ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის აქტივის ან/და წილის/აქციის გასხვისებისა.

12. სპეციალური მმართველი, კომისიის გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად და კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) დანიშნოს ან/და გაათავისუფლოს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის დირექტორ(ებ)ი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ი (ასეთი არსებობის შემთხვევაში);

ბ) სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით სადავო გახადოს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ სპეციალური მმართველის დანიშვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედება ან დადებული გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილობა, თუ აღნიშნული ქმედების ან გარიგების შედეგად ზიანი მიადგა/ზიანი ადგება ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირების, მომხმარებლების კანონიერ ინტერესებს ან ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს;

გ) ავტორიზებულ/ლიცენზიის მფლობელ პირს შეუჩეროს ან შეუზღუდოს მოგების განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა;

დ) ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მმართველობითი ორგანოს სხვა ფუნქციები (გარდა ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის აქტივის ან/და წილის/აქციის გასხვისებისა);

13. სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ დაუშვებელია ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის სახელით ნებისმიერი ქმედების განხორციელება სპეციალური მმართველის ან/და კომისიის თანხმობის გარეშე.

14. ბათილია სპეციალური მმართველის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება, თუ ისინი მიღებული/განხორციელებული არ არის კომისიის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

15. სპეციალური მმართველი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და კომისიის მიერ გაცემული ინსტრუქციებისა და მითითებების ფარგლებში. სპეციალური მმართველი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომისიის წინაშე. სპეციალური მმართველი კომისიის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით და დადგენილ ვადაში, რეგულარულად ან/და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს კომისიას თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

16. კომისია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი საფუძვლით გაათავისუფლოს სპეციალური მმართველი. ასეთ შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია ხელახლა დანიშნოს სპეციალური მმართველი.

17. კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვროს, რომ სპეციალური მმართველის ცალკეული ან ყველა უფლებამოსილების განხორციელება საჭიროებს კომისიის წინასწარ წერილობით თანხმობას.

18. კომისიის გადაწყვეტილების აღსრულებისა და აღნიშნულის დამადასტურებელი ინფორმაციის/დოკუმენტაციის კომისიაში წარმოდგენის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან თავისუფლდება სპეციალური მმართველი და წყდება ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალური ღონისძიებების გამოყენება ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიმართ.

19. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, სპეციალური მმართველი ასევე შეიძლება დაინიშნოს ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ამ კანონის 34-ე - 35-ე მუხლებით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სპეციალური მმართველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირის მიმართ ამ დარღვევისათვის უკვე გამოყენებულია ამ კანონის 45-ე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული ჯარიმა ერთხელ მაინც და დაკისრებულმა განსაზღვრული ჯარიმები და ჯარიმებმა ვერ უზრუნველყო კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო ავტორიზაციის შეჩერებამ/ლიცენზიის გაუქმებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირების, მომხმარებლების კანონიერ ინტერესებს ან ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური მმართველი ინიშნება და მისი უფლებამოსილებები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-14, მე-16 - მე-20 პუნქტის შესაბამისად.

20. ამ მუხლის შესაბამისად კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**